ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 23 აპრილის

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 23 აპრილის სხდომის

ო ქ მ ი № 9

დ. ხარაგაული 23 აპრილი 2020 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - **მანანა ბარბაქაძე** - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე -განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ვარლამ ჭიპაშვილი - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე -ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მალხაზ ფხალაძე -ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

პაატა გოგოლაძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“ -ს თავმჯდომარე,

თორნიკე ავალიშვილი - ფრაქცია „ ძალა ერთობაშია““ თავმჯდომარე

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „ თვითმმართველობა ხალხისათვის““ თავმჯდომარე

გივი თავზარაშვილი ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების““ თავმჯდომარე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ჯაბა ბერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

ინგა ლურსმანაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი,

დავით კიკნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი,

ნინო მაღლაკელიძე მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი (ერთვებოდა დისტანციურად),

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ :

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი, საკითხთა ნუსხა და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: დავით დევდარიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.34.117). პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, იჯარის ფორმით ერთი წლის ვადით კომპანია hinan bridge construqcion group co. ltd -სათვის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4. დაბა ხარაგაულში, 9 აპრილის ქუჩა N48-ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 36.01.33.165) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

5 .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23 აპრილის ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ანგარიში საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიე გაწეული მუშაობის შესახებ ,

აზრი გამოთქვეს:

გ. თავზარაშვილმა, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს პრობლემური ქონება, რომელიც თქვენ ახსენეთ, თანხაში რამდენი იქნება? და ასევე მაინტერესებს მიწების რეგისტრაციის საკითხი.

ჯ. ბერაძე ქონების ღირებულება, რომელიც მე ვახსენე არის ნული, ასეთი ქნების რეალიზება ხდება პრივატიზების გზით, რაც შეეხება მიწების რეგისტრაციად პერიოდი გაგრძელდა, გამარტივდა და გარკვეული შეღავათები მიეცა მოქალაქეებს .

ი. კელენჯერიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს კიცხში და წყალაფორეთში იჯარით გაცემული მიწებიდან რა შემოსავალი შემოდის

ჯ ბერაძე კიცხში და წყალაფორეთში იჯარით უნდა გაცემულიყო 20 მოიჯარეზე, მაგრამ მოქალაქეები თანხას ვერ იხდიან და თუ ინვესტორი გამოჩნდება გაიცემა.

ი. ბერაძემ აღნიშნა, რომ ანგარიში ბევრად უკეთესია ვიდრე ეს წინა წელს იყო, კარგად ჩანს გაწეული საქმიანობა, მივესალმები, რომ მიწების ნაწილში ვადა გაგრძელდა კარგია, ეკონომიკური განვითარების გეგმა წარმოდგენილია, ინვენტარიზაცია დაიწყო და დამთავრდება რა დრო დაჭირდება მაქსიმუმ.

ჯ. ბერაძემ განმარტა, რომ მაქსიმუმ ერთი კვირა, როგორც კი გზა გაიხსნება.

თ. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ შეძენილია ქონება ადმინისტრაციულ ერთეულებში მაგალითად წყლის ავზები,, რომელიც არ გამოყენებულა, დამწვარია მანქანა რა პასუხი გაქვთ ამაზე.

ჯ. ბერაძემ უპასუხა, რომ როდესაც მანქანა დაიწვა მაშინვე შევატყობინეთ 112 -ს, დაინიშნა ექსპერტიზა, დაიწყო გამოძიება, ექსპერტიზამ დაადგინა, რომ დაწვა მოხდა ავტომანქანის გაუმართაობის გამო, ერ მანქანა იყო გუბერნიის ბალანსზე და მას შევატყობინეთ, ქონებები, რომლების პრობლემურია გადის აუქციონზე.

ვ ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ანგარიშის განხილვა არ მოხდეს 11 მაისის სხდომაზე ,განვიხილოთ შემდეგ სხდომაზე რადგან სამსახურის საქმიანობა უნდა შეფასდეს და ამისათვის დროა საჭირო, ვერ მოვასწრებთ.

წინადადებას მხარი დაუჭირეს ბიუროს ცალკეულმა წევრებმაც : გ. თავზარაშვილმა. პ. გოგოლაძემ დ. კიკნაძემ, მ. ფხალაძემ.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხის განხილვა გადატანილი იქნეს 11 მასისს ჩანიშნული სხდომის შემდეგ სხდომაზე ივნისის თვეში ასევე განხილვისა და მოსმენის გარეშე მაისის სხდომის დღის წესრიგში არ შევიდა მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ანგარიში

2. ეკონომიკის სამსახურის ანგარიშის განხილვა დაევალა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.34.117). პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, იჯარის ფორმით ერთი წლის ვადით კომპანია hinan bridge construqcion group co. ltd -სათვის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 11 მ აისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე- **დაბა ხარაგაულში, 9 აპრილის ქუჩა N48-ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 36.01.33.165) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 11 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსის ნინო მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც დასვა შეკითხვა იყო თუ არა ეს თანხა ბიუჯეტში დაკავებული

ნ. მაღლაკელიძემ უპასუხა დაუკავდა 0.1 %

ი. ლურსმანაშვილმა განმარტა პირგასამტეხლოს ოდენობა განსაზღვრული იყო რეგიონული განვითარებისა გა ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეკომენდაციის შესაბამისად, სასამართლომ აშ შემთხვევაში იხელმძღვანელა საქათველოს კანონით შესყიდვების შესახებ და მეწარმის სასარგებლო დაწია პირგასამტეხლოს ოდენობა. მე, როგორც იურისტს შესაბამის პირებთან რამდენჯერმე მქონდა საუბარი დაბალი პროცენტის დაკისრებაზე, მაგრამ არ ითვალისწინებდნენ, ამჟამად ეს პრობლემა აღმოფხვრილია.

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ უკვე მერამდენე შემთხვევაა ვიხდით ბიუჯეტიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად თანხას მე ვითხოვ იურიდიული კომისია უნდა დაინტერესდეს ამ საკითხებით.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ უნდა დადგეს კონკრეტული ჩინოვნიკის პასუხისმგებლობის საკითხი.

მგონია, რომ ამ ცვლილებას არ უნდა დავუჭიროთ მხარი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 11 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსის ნინო მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შედეგების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 11 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის სხდომის დღის წესრიგში.

2. დაევალოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას ინდივიდუალურ რეჟიმში უზრუნველყოს საკითხის განხილვა კომისიის სხდომებზე მათთვის მოსახერხებელი ფორმატით

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს დაემატოს 2020 წლის 06 აპრილს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან მოხსნილი საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

2. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის)

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 მაისის

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 – 2021 წლების ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.34.117). პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, იჯარის ფორმით ერთი წლის ვადით კომპანია hinan bridge construqcion group co. Itd -სათვის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

3. დაბა ხარაგაულში, 9 აპრილის ქუჩა N48-ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 36.01.33.165) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე